

შპს “ინტერაგტო თრეიდიנגი”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
არააუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
5. შემოსავლები	13
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
7. ადმინისტრაციული ხარჯები	13

**შპს „ინტერავტო თრეიდინგი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

შპს „ინტერავტო თრეიდინგი“-ს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

	31-12-2021	31-12-2020
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	127,470.01	318,875.00
საგადასახადო აქტივი	22,235.64	20,053.00
გადახდილი ავანსები	15,233.01	13,560.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,571,793.61	2,141,482.00
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	50,088.18	199,837.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,786,820.45	2,693,806.00
გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		
ძირითადი საშუალებები	5,455,458.41	3,734,193.00
არამატერიალური აქტივები	12,091.66	6,017.00
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,467,550.07	3,740,209.00
სულ აქტივები	7,254,370.52	6,434,015.00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	275,874.08	973,325.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,180,815.35	3,817,398.00
საგადასახადო ვალდებულებები	6,381.55	23,932.00
ანარიცხები		
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	28,434.55	39,784.00
სახელშეკრულებო ვალდებულებები	73,902.88	1,133,963.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,565,408.41	5,988,403.00
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები		
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები - გრძელვადიანი ნაწილი		-
ფინანსური იჯარი ვალდებულება		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	5,565,408.41	5,988,403.00
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,100.00	2,100.00
გაუნაწილებელი მოგება	1,686,862.11	443,513.00
სულ კაპიტალი	1,688,962.11	445,613.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7,254,370.52	6,434,015.00



ალექსანდრე ბეროშვილი

დირექტორი

**შპს „ინტერავტო თრეიდიנגი“ - შპს ფასს-ების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება**

	2021	2020
შემოსავალი	6,161,095.19	9,374,961.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,715,704.35)	(7,858,792.00)
საერთო მოგება	1,445,390.84	1,516,169.00
ადმინისტრაციული ხარჯები	(554,279.35)	(854,889.00)
კომერციული ხარჯები		(58,574.00)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(368,529.12)	(378,725.00)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი	522,582.37	223,981.00
ფინანსური შემოსავალი	872,284.38	156,959.00
ფინანსური ხარჯები	(80,289.98)	(592,364.00)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,312,419.90	
ზარალი დაბეგვრამდე	2,626,996.67	(211,424.00)
მოგების გადასახადის ხარჯი	(67,486.45)	
წლის მოგება/ ზარალი	2,559,510.22	(211,424.00)


 ალექსანდრე ბელოშვილი
 დირექტორი

2021 წლის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი	(89121.30)	(1186997.00)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი	1925099.73	217299.00
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი	(2027383.42)	969375.00
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(191404.99)	(323.00)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0.00	0.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	318875.00	319198.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	127470.01	318875.00

შპს „ინტერავტო თრეიდინგი“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ინტერავტო თრეიდინგი”, საიდენტიფიკაციო ნომრით 206211936, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 13.03.2016 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, I კვარტალი, N 22ა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ნიკა კოხოძე (01008058041)-90%, ნოდარ მშვილდაძე (01005030744)-5%, პეტრე წაქაძე (01005020486)-5%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების სათადარიგო ნაწილებით და აქსესუარებით ვაჭრობა.

შვილობილი კომპანია

კომპანიას ჰყავს შვილობილი კომპანია, შპს თეგეტა რენტალსი (ს/კ 454412305) დაფუძნებული 2018 წლის 20 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც შესულია წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის საქმიანობაა მძიმე ტექნიკის გაქირავება - მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიისა და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებებისგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შპს „ინტერაგტო თრეიდინგი“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

კომპანია შვილობილ კომპანიაში და მეკავშირე საწარმოები ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადახდილი ან გადასახდელი თანხის ოდენობას.

2.4. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომელის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.6. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	საექსპლუატაციო ვადა
ავტო	5
ელექტრონული მოწყობილობები	5
ინვენტარი	5
კომპიუტერები და აქსესუარები	5
მანქანა-დანადგარები	5
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	5
ნაგებობა	20
საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.7. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების
აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება
დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის
თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის
მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე
გაწეული დანახარჯების სახით

2.8. გადასახადები

მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი
საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 01
იანვრიდან კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და
მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით
დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში
რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით
არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის,
შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და
ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი
მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ
პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს
გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად
(მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების
უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან)
მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება
აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად
და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში,
მოგებაში ან ზარალში ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი - შეძენილი აქტივების თუ მატერიალური
ფასეულობების, შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვა ხდება დამატებითი ღირებულების
თანხის გამოკლებით, გარდა იმ გამონაკლისებისა, როცა დამატებითი ღირებულების

გადასახადი არ ექვემდებარება ჩათვლას. ასეთ შემთხვევაში, დამატებითი ღირებულების
ხარჯი მიეკუთვნება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებს ან აღირიცხება ხარჯის
მუხლში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა,
საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები. კომპანია შესაბამისად ბეგრავს ავანსებს და აღრიცხავს საგადასახადო გადასახადების აქტივებში.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ, ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.10. შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შემოსავალი შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები გადახდების სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი სავაჭრო ამონაგების, დისკონტირების, მოცულობითი ფასდაკლებების და დღგ-ს გამოკლებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან - აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ საქონელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და საკუთრების უფლება გადაეცა კლიენტს და კლიენტი მიიღებს მიწოდებას. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან - აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტიდან.

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.11. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება თუ :

-აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).

-საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.12. კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ინტერაგტო თრეიდიინგი“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	30 დეკემბერი, 2021	30 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული სალაროში	0	854
ფული საბანკო ანგარიშებზე	127,470	318,021
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	127,470	318,875

5. შემოსავლები

	2021	2020
საქონლის გაყიდვიდან	219,332	6,576,508
მომსახურების გაწევიდან	5,941,763	2,798,453
სულ შემოსავლები	6,161,095	9,374,961

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
საქონლის გაყიდვიდან	207,055	6,576,508
მომსახურების გაწევიდან	4,508,649	2,798,453
სულ შემოსავლები	4,715,704	9,374,961

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2,021.00	2,020.00
პერსონალის ხარჯი	(446,928.67)	(614,922.00)
ცვთა და ამორტიზაცია	(81,634.91)	(86,883.00)
იჯარის ხარჯი	(25,715.70)	(153,083.00)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(554,279.28)	(854,889.00)